



2022

შპს „დენკ ფარმა კავკასია“

ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-4

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	14
6. შემოსავალი	13
7. გაყიდვების თვითღირებულება	13
8. სხვა შემოსავალი	13
9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
10. სხვა ხარჯები	15
11. საკუთრივ სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა	15
12. ძირითადი საშუალებები	16
13. არამატერიალური აქტივები	16
14. მარაგები	17
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
16. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
17. გაცემული სესხები	17
18. კაპიტალი	17
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
20. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ნაშთები	18
21. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	19
22. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დენკ ფარმა კავკასიას“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „დენკ ფარმა კავკასიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - შესადარისი ინფორმაციის შესწორება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარისი ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სადირიჯხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სადირიჯხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

28 მარტი 2023

თბილისი, საქართველო

შპს “დენკ ფარმა კავკასია”
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2022	2021 *გადაანგარიშებული
შემოსავალი	6	16,998,164	20,418,845
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	7	(10,723,367)	(12,064,374)
საერთო მოგება		6,274,797	8,354,471
სხვა შემოსავალი	8	193,883	315,302
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(6,939,751)	(6,180,522)
სხვა ხარჯები	10	(234,744)	(601,567)
საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა	11	740,930	145,562
მოგება გადასახადამდე		35,115	2,033,246
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(313,935)
წლის წმინდა მოგება		35,115	1,719,311
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		35,115	1,719,311

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 28 მარტს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლიკა კობახიძე

შპს “დენკ ფარმა კავკასია”
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021 *გადაანგარიშებული	1 იანვარი, 2021 *გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	480,835	278,310	251,579
არამატერიალური აქტივები	13	272,090	347,571	255,684
სულ გრძელვადიანი აქტივები		752,925	625,881	507,263
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	14	1,968,413	4,830,964	5,280,854
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	5,087,142	6,958,522	7,271,207
წინასწარ დაფარული ხარჯები		149,136	139,145	132,429
საგადასახადო აქტივი		-	15,873	-
ფული და ფულის ექვივალენტები	16	1,086,203	781,752	1,807,046
გაცემული სესხები	17	-	282,854	-
სულ მიმდინარე აქტივები		8,290,894	13,009,110	14,491,536
სულ აქტივები		9,043,819	13,634,991	14,998,799
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18	1	1	1
დამატებით გადახდილი კაპიტალი	18	87,252	87,252	87,252
გაუნაწილებელი მოგება		3,353,979	3,318,864	3,599,426
სულ კაპიტალი		3,441,232	3,406,117	3,686,679
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	5,586,909	10,228,874	11,299,347
საგადასახადო ვალდებულებები		15,678	-	12,773
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,602,587	10,228,874	11,312,120
სულ ვალდებულებები		5,602,587	10,228,874	11,312,120
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,043,819	13,634,991	14,998,799

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 28 მარტს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლიკა კობახიძე

შპს “დენკფარმა კავკასია”
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება *გადაანგარიშებული	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	1	87,252	3,599,426	3,686,679
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(1,999,873)	(1,999,873)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი *	-	-	1,719,311	1,719,311
ნაშთი 31 დეკემბერი 2021 *	1	87,252	3,318,864	3,406,117
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	35,115	35,115
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	1	87,252	3,353,979	3,441,232

* ზოგიერთი რიცხვი არ შეესაბამება 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირებების შედეგად.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 28 მარტს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლიკა კობახიძე

შპს “დენკ ფარმა კავკასია”
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		35,115	2,033,246
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9,12,13	187,898	163,348
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან		(740,930)	(145,562)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		73,460	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) ფულადი სახსრები		(444,457)	2,051,032
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე			
მარაგების შემცირება		2,862,551	449,890
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა / (შემცირება)		928,324	(344,008)
წინასწარ დაფარული ხარჯების ზრდა		(33,825)	(9,288)
დარიცხულ გადასახადებში ზრდა / (შემცირება)		31,551	(28,646)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(2,885,228)	(253,079)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე		458,916	1,865,901
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(313,936)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		458,916	1,551,965
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	12	(357,996)	(93,667)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	13	(30,406)	(188,299)
სესხის გაცემა	17	(350,000)	(300,000)
სესხის ძირისა და პროცენტის მიღება	17	656,688	19,718
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(81,714)	(562,248)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
დივიდენდის გადახდა	18	-	(1,999,873)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		-	(1,999,873)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		377,202	(1,010,156)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16	781,752	1,807,046
კურსთა შორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(72,751)	(15,138)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	1,086,203	781,752

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 28 მარტს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლიკა კობახიძე

1. ზოგადი ინფორმაცია

„დენკ ფარმა კავკასია“ (ყოფილი „დენკ ფარმა ჯორჯია“) (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 7 თებერვალს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია დიდი დილომი, გიორგი ბრწყინვალეს ქ. #5ა, თბილისი, საქართველო, ხოლო კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 405029295.

კომპანია დაკავებულია ფარმაცევტული პროდუქტების იმპორტირებითა და მათი გაყიდვით კომპანიებზე: სს „გეფა“ (ყოფილი სს „ეიბისი ფარმაცია“), შპს „პეესპე“ და შპს „ავერსი ფარმა“, რომლებიც არიან საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტების საცალო გამყიდველები, კომპანიაზე სს „ალფა-ფარმა“, რომელიც არის სომხეთში წამლის იმპორტიორი და საბითუმო და საცალო გამყიდველი და შპს „ზეითუნ ფარმაცევტიკალსზე“, რომელიც ოპერირებს აზერბაიჯანში.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელი იყო „დენკ ფარმა GmbH & Co. KG“, გერმანია, რომლის საბოლოო მფლობელია შტეფან ჰუმბერი.

2. მომზადების საფუძველი

შესავალი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ექვი დაზადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შემოსავლის აღიარება - შემოსავალი არის ბიზნესის მიმდინარეობისას გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მისაღები შემოსავლის სამართლიანი ღირებულება. შემოსავლის აღიარება არ ხდება იქამდე, სანამ კლიენტს მომსახურება არ გაეწევა.

შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. რეალიზაციის პირობების საფუძველზე შემოსავლის ოდენობას აკლდება ფასდაკლებები და საქონლის უკან დაბრუნებები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქონლის რეალიზაცია - საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლების გადაცემის დროს, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია არ ინარჩუნებს მენეჯერულ ჩართულობას ისეთი ხარისხით, რაც ჩვეულებრივ ასოცირდება მფლობელობასთან და არ ინარჩუნებს კონტროლს გაყიდულ საქონელზე;
- შემოსავლის ოდენობის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი;
- სავარაუდოა, რომ ტრანსაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს მოცემული კომპანია; და
- ტრანსაქციასთან დაკავშირებული გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი.

იჯარა - იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება ყოველთვის, როდესაც იჯარის პირობები გულისხმობს მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის მოიჯარისათვის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო საიჯარო გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივად იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარით წარმოშობილი პირობითი იჯარა ხარჯად აღიარდება ხარჯის გაწევის პერიოდში.

უცხოური ვალუტები - კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირის ოპერირების ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა ქართული ლარი („ლარი“). ტრანზაქციები ისეთ ვალუტაში, რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოშობილია საკურსო სხვაობით, შედის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაცვლითი კურსები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული, წლის ბოლოს მოქმედი გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 USD/GEL	2.7020	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	2.8844	3.5040	4.0233

გადასახადები - მოგების გადასახადები ირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზამ დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა. ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელით ბასს 12 სტანდარტით - „მოგების გადასახადი“ გათვალისწინებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება მოიცავს შემდეგს: (ა) შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლისა და შესყიდვებზე დაწესებული აუნაზღაურებადი გადასახადების ჩათვლით, სავაჭრო ფასდათმობებისა და დისკონტების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ამ ერთეულის იმ ადგილას და მდგომარეობაში მოყვანასთან, რომელიც საჭიროა, რათა მან იფუნქციონიროს კომპანიის მენეჯმენტის მიერ დაგეგმილი სახით; (გ) ერთეულის დემონტაჟის, გატანისა და მისი ადგილმდებარეობის თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანის საწყის სავარაუდო ხარჯს; (დ) ვალდებულებას, რომელიც კომპანიას ერიცხება ერთეულის შესყიდვისათვის ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ამავე ერთეულის ისეთი სახით გამოყენებისათვის, რაც არ გულისხმობს ამავე პერიოდში მარაგების წარმოებას; და (ე) კვალიფიცირებული აქტივებისათვის, სესხის აღების კაპიტალიზებულ ხარჯებს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ისე, რომ ამ დროს მოხდეს აქტივის სარგებლიანობის ვადის განმავლობაში გამოსაკლები თანხის ჩამოწერა. ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთებია:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	ცვეთის საპროცენტო განაკვეთი
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	15%
ოფისის აღჭურვილობა	10%
კომპიუტერები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ცვეთის თანხა არის ძირითადი საშუალების ღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული თანხა, რასაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან, რეალიზაციის ფასს გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები მისი სარგებლიანობის ვადის ამოწურვის პერიოდში.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება, სარგებლიანობის ვადა და ცვეთის მეთოდი გადაიხედება. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პროსპექტიულად, როგორც საბუღალტრო შეფასების ცვლილება.

არამატერიალური აქტივები - არამატერიალური აქტივები წარმოადგენს წამლის ლიცენზიებს და პროგრამულ უზრუნველყოფას. მათ შეფასებული სარგებლიანობის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით ერიცხება ამორტიზაცია კომპანიის მიერ ფლობილი ლიცენზიების სარგებლიანობის ვადა 5 წელი.

მარაგები - მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

მოძრაობა გასაყიდად განკუთვნილ საქონელში აღირიცხება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. ისინი განიმარტება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო არაა. პირობითი აქტივები აღიარდება მხოლოდ პირობითობის რეალიზებისას.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას (მაგრამ არა სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისას), თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას, დაუყოვნებლივ აისახება სრულ შემოსავალში.

ფინანსური აქტივები - ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები; დაფარვის ვადით ფლობილი ინვესტიციები; გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები; და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ბუნებასა და დანიშნულებაზე და დგინდება თავდაპირველი აღიარებისას. კომპანიის მთავარი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები, და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სესხები და მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებების (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული მოიცავს ბანკებში განთავსებულ ფულს.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურების გამოკლებით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოწმდება გაუფასურების ნიშნების არსებობაზე. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად ინვესტიციის შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადები შეცვლილია.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ზარალი აკლდება ანარიცხების ანგარიშის საშუალებით. თუ სავაჭრო მოთხოვნა უიმედოდ ჩაითვალა, ის ანარიცხების ანგარიშიდან ჩამოიწერება. უკვე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ირიცხება ანარიცხების ანგარიშზე. ანარიცხების ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ და მისაღებ ანაზღაურებას შორის აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც სავაჭრო და სხვა გადასახდელები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

ეფექტური პროცენტის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი გადინებების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მისი მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი და დამატებით გადახდილი კაპიტალი - საწესდებო კაპიტალი და დამატებით გადახდილი კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, მენეჯმენტს ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

მარაგების ჩამოწერა - ვინაიდან მარაგებს დადგენილი მოხმარების ვადა აქვს, მენეჯმენტი ახდენს ვადაგასული მარაგების იდენტიფიცირებას და შემდგომ ახორციელებს მათ ჩამოწერას.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა - ძირითადი საშუალებების ერთეულის სარგებლიანობის ვადის დადგენა მენეჯმენტის განსჯის საგანია და მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას ეფუძნება. აქტივის სარგებლიანობის ვადის დადგენისას მენეჯმენტი მხედველობაში იღებს გამოყენების მოსალოდნელ ფორმას, მოსალოდნელ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და აქტივის ექსპლუატაციის ფიზიკურ გარემოს. რომელიმე პირობის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომის იდენტიფიცირება 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ნაშთების გადახედვა.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ცვლილებების ეფექტი 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
მარაგები	4,902,482	(71,518)	4,830,964
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,198,978	29,896	10,228,874

ცვლილებების ეფექტი 2021 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე, რომელიც აისახება 2021 წლის გაუნაწილებელ მოგებაზე

	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
სხვა შემოსავალი	94,102	221,200	315,302
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,073,602)	(106,920)	(6,180,522)
სხვა ხარჯები	(530,049)	(71,518)	(601,567)

ცვლილებების ეფექტი 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
გაუნაწილებელი მოგება	3,743,600	(144,173)	3,599,427
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,155,174	144,173	11,299,347

6. შემოსავალი

2022 წელს კომპანიამ შემოსავალი მიიღო ფარმაცევტული პროდუქტების შვიდ ძირითად კონტრაგენტზე მიყიდვით. ესენია ადგილობრივი საცალო მოვაჭრეები: სს „გეფა“ (ყოფილი სს „ეიბისი ფარმაცია“), შპს „პეესპე“, შპს „ავერსი ფარმა“, შპს „ავრომედი“ სს „ალფა ფარმი“, რომელიც „დენკ ფარმა კავკასიასგან“ პროდუქტებს ადგილობრივად ყიდულობს და ახდენს მათ დისტრიბუციას სომხეთში. აგრეთვე ახდენს რეალიზებას აზერბაიჯანში მოქმედ შპს „ზეითუნ ფარმაცევტიკალსზე“ და შპს „აზერი მედზე“. ჯამურად 2022 წელს საქონლის საბითუმო რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 16,998,164 ლარი (2021: 20,418,845 ლარი).

7. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება სრულად შედგება რეალიზებული მედიკამენტების თვითღირებულებისაგან, რამაც 2022 წლისთვის შეადგინა 10,723,367 ლარი (2021: 12,064,374 ლარი).

8. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი შედგება მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტისგან, გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტისა და დედა კომპანიისგან მიღებული ფასდათმობისგან.

9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	4,309,431	3,701,272
სარეკლამო ხარჯები	1,198,011	1,136,172
ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები	381,541	239,051
მარკეტინგული ხარჯები	308,761	546,592
ცვეთა და ამორტიზაცია	187,898	163,347
საიჯარო ქირა	105,081	103,292
საწვავის ხარჯი	88,729	53,201
სამივლინებო ხარჯები	59,392	26,508
პროფესიული მომსახურების ხარჯი	35,294	10,083
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	15,870
საბანკო ხარჯი	11,918	12,310
კომუნიკაციის ხარჯები	5,347	4,264
სხვა ხარჯები	248,348	168,560
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6,939,751	6,180,522

10. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები	2022	2021
ვადაგასული პროდუქციის ჩამოწერის ხარჯი	149,365	596,105
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	73,460	-
სხვა ხარჯები	11,919	5,462
სულ სხვა ხარჯი:	234,744	601,567

11. საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოგება	ზარალი	სხვაობა
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	32,400	105,151	(72,751)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,489,000	732,263	1,756,737
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	492,587	1,435,643	(943,056)
სულ საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი (წმინდა)	3,013,987	2,273,057	740,930
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოგება	ზარალი	სხვაობა
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	49,629	64,767	(15,138)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,451,723	634,327	817,396
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	325,762	982,458	(656,696)
სულ საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი (წმინდა)	1,827,114	1,681,552	145,562

12. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება					
1 იანვარი 2021	56,483	69,352	205,313	2,645	333,793
შეძენა	4,778	11,756	77,132	-	93,666
2021 წლის 31 დეკემბერი	61,261	81,108	282,445	2,645	427,459
შეძენა	11,518	29,237	211,608	105,633	357,996
ჩამოწერა	-	(12,573)	(137,814)	-	(150,387)
2022 წლის 31 დეკემბერი	72,779	97,772	356,239	108,278	635,068
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2021	16,542	36,230	29,194	247	82,213
წლის ცვეთა	6,100	12,899	47,883	53	66,935
2021 წლის 31 დეკემბერი	22,642	49,129	77,077	300	149,148
წლის ცვეთა	6,921	13,224	59,302	2,564	82,011
ჩამოწერა	-	(11,237)	(65,690)	-	(76,927)
2022 წლის 31 დეკემბერი	29,563	51,116	70,689	2,864	154,233
საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2021	39,940	33,122	176,119	2,398	251,579
2021 წლის 31 დეკემბერი	38,618	31,979	205,368	2,345	278,310
2022 წლის 31 დეკემბერი	43,215	46,657	285,550	105,414	480,835

13. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა	სულ
თვითღირებულება			
1 იანვარი 2021	391,847	29,097	420,944
შეძენა	188,299	-	188,299
ჩამოწერა	(74,702)	(5,041)	(79,743)
2021 წლის 31 დეკემბერი	505,444	24,056	529,500
შეძენა	30,406	-	30,406
ჩამოწერა	(27,778)	-	(27,778)
2022 წლის 31 დეკემბერი	508,072	24,056	532,128
ცვეთა			
1 იანვარი 2021	158,772	6,488	165,260
ცვეთა	91,104	5,308	96,412
ცვეთის ელიმინაცია	(74,702)	(5,041)	(79,743)
2021 წლის 31 დეკემბერი	175,174	6,755	181,929
ცვეთა	101,076	4,811	105,887
ცვეთის ელიმინაცია	(27,778)	-	(27,778)
2022 წლის 31 დეკემბერი	248,472	11,566	260,038
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2021	233,075	22,609	255,684
2021 წლის 31 დეკემბერი	330,270	17,301	347,571
2022 წლის 31 დეკემბერი	259,600	12,490	272,090

14. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
გასაყიდად გამიზნული მედიკამენტები	1,967,650	4,828,534	5,280,854
საწვავი	763	2,430	-
სულ მარაგები:	1,968,413	4,830,964	5,280,854

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ძირითადად წარმოდგენილია მოთხოვნებით შემდეგი იურიდიული პირების მიმართ: სს „ალფა ფარმი“, სს „გეფა“, შპს „ზეითუნ ფარმაცევტიკალსი“, შპს „პეესპე ფარმა“, შპს „ავრომედი“ და შპს „ავერსი ფარმა“, შპს „დოიჩე პროდუქტ“. სავაჭრო და სხვა მოთხოვნის ნაშთებიდან ვადაგადაცილებული არც ერთი არ არის.

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ქართული ლარი	1,019,477	779,213	1,804,562
ევრო	66,726	2,539	2,484
სულ ფული და ფულის ეკვივალენტი:	1,086,203	781,752	1,807,046

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია სს „თიბისი ბანკში“ განთავსებული ფულადი სახსრებით.

17. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
გადასახდელი ძირი	-	280,282	-
გადასახდელი პროცენტი	-	2,572	-
სულ გაცემული სესხები	-	282,854	-

გაცემული სესხების მოძრაობა	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	282,854	-
სესხის გაცემა	350,000	300,000
დაბრუნებული ძირი	(632,854)	(17,146)
გადახდილი პროცენტი	(23,834)	(2,572)
საპროცენტო შემოსავალი	23,834	2,572
31 დეკემბრის მდგომარეობით	-	282,854

2021 წელს კომპანიამ გასცა სესხი შპს „დოიჩე პროდუქტ“-ზე 300,000 ლარის ოდენობით, წლიურ 5 პროცენტად. სესხის დაფარვის ვადა იყო 2024 წელი. აღნიშნული სესხის დაფარვა მოხდა 2022 წელს.

18. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1 ლარს, რომელიც 2014 წლის 31 დეკემბერს იქნა გადახდილი საქონლის უფასოდ მიწოდებით. კომპანიის დამატებით გადახდილი კაპიტალი მოიცავს მფლობელისგან უფასოდ მოწოდებულ საქონელს 87,252 ლარის ღირებულებით.

კომპანიას 2022 წელს დივიდენდი არ გამოუცხადებია. კომპანიამ 2021 წელს გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 1,999,873 ლარის ოდენობით.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
მოწ.და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	5,499,948	9,900,892	11,023,745
სხვა ვალდებულებები	86,961	327,982	275,602
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	5,586,909	10,228,874	11,299,347

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერსა და 2021 წლის პირველ იანვარს სავაჭრო ვალდებულებების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ნაშთს დაკავშირებულ მხარესთან, რომელიც პროდუქციის ერთადერთი მომწოდებელია.

20. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ნაშთები

	31 დეკემბერი 2022			
	მფლობელი	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,498,199	86,961	-	5,585,160
შესყიდვები	8,124,619	-	16,045	8,140,664
შემოსავალი	-	-	291,419	291,419
მარკეტინგის ხარჯი	-	-	33,153	33,153
იჯარა და შესაბამისი კომუნალური, ტრანსპორტირება-დასაწყობების ხარჯი	-	-	473,457	473,457
მივლინების ხარჯი	-	6,907	-	6,907
ხელფასები და მისი გადასახადები	-	1,235,634	-	1,235,634

	31 დეკემბერი 2021			
	მფლობელი	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო ვალდებულებები	10,063,415	76,837	-	10,140,252
გაცემული სესხები	-	-	282,854	282,854
შესყიდვები	12,292,111	-	-	12,292,111
შემოსავალი	-	-	417,597	417,597
მარკეტინგული ხარჯები	-	-	33,205	33,205
მივლინების ხარჯები	-	9,142	-	9,142
ხელფასის ხარჯი	-	1,366,514	-	1,366,514

	1 იანვარი 2021			
	მფლობელი	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო ვალდებულებები	10,934,678	131,427	-	11,066,105
შესყიდვები	5,280,854	-	-	5,280,854
მივლინების ხარჯები	-	3,322	-	3,322
სარეკლამო ხარჯები	-	-	6,000	6,000
ხელფასები და მისი გადასახადები	-	1,507,826	-	1,507,826

2022 და 2021 წლების 31 დეკემბერსა და 2021 წლის 1-ლ იანვარს დასრულებული წლების განმავლობაში გასაყიდად განკუთვნილი საქონლის 100% მოწოდებული იყო მფლობელის მიერ.

21. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები - 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დასაფარი გარანტიები არ გააჩნია.

სამართლებრივი დავები - 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში არ მონაწილეობდა. ხელმძღვანელობის აზრით, მომავალში მნიშვნელოვანი ოდენობის დაურიცხავი ზარალის გაწევა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილებების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანსაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ფინანსური ანგარიშგება საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის ცვლილება 2014 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული მიმდინარეობს. შემოვიდა დამატებითი საანგარიშგებო და დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნები. ახალი კანონმდებლობით, საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, პირს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები დააკისრონ გარკვეულ ტრანზაქციებთან მიმართებაში, რაც სხვათა შორის, მოიცავს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებს, თუ საგადასახადო ორგანომ ჩათვალა, რომ მათი ფასი ბაზრის პრინციპებით არ დადგენილა. საგადასახადო ორგანოების მიერ სატრანსფერო ფასწარმოქმნის ეჭვქვეშ დაყენების შედეგების სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია.

ამგვარი განუსაზღვრელობა შეიძლება დაკავშირებული იყოს გარიგებების ბაზარზე ფასწარმოქმნასთან. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მან ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვა ყველა დაკისრებული გადასახადი და, შესაბამისად, რეზერვი არ შეუქმნია.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ამ წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

22. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 28 მარტს.

2023 წლის 15 იანვარს გამოიცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის, და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“, რომლითაც დამტკიცდა ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასები. რეფერენტული ფასი, პირველ ეტაპზე, 1,300-ზე მეტ ქრონიკულ და ონკოლოგიურ მედიკამენტზე დაწესდა. ცვლილება შეეხო კომპანიის მიერ რეალიზებულ რამდენიმე მედიკამენტს, რომლის რეალიზაცია მოხდა საანგარიშგებო პერიოდამდე, თუმცა ამ პერიოდში არ ანაზღაურებულა კონტრაგენტების მხრიდან. ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, კომპანიასა და კონტრაგენტებს შორის შედგა ვალის პატიების შეთანხმება, რის შესაბამისადაც დაკორექტირდა კომპანიის საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი 101,074 ლარით.

შპს "დენკ უარმა კავკასია"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

	შინიშნა	2022	2021 გადაანგარიშებული
შემოსავალი	6	16,998,164	20,418,845
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	7	(10,723,367)	(12,064,374)
საერთო მოგება		6,274,797	8,354,471
სხვა შემოსავალი	8	193,883	315,302
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(6,999,751)	(6,180,522)
სხვა ხარჯები	10	(234,744)	(601,567)
საკუთრო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა	11	740,930	145,562
მოგება გადასახადამდე		35,115	2,033,246
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(313,935)
წლის წმინდა მოგება		35,115	1,719,311
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		35,115	1,719,311

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 28 მარტს.

გენერალური დირექტორი
ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
ლიკა კობახიძე




შპს "დენკო ფარმა კავკასია"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

მუხიმება	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021 გადაანგარიშებული	1 იანვარი, 2021 გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	480,835	278,310
არამატერიალური აქტივები	13	272,090	347,571
სულ გრძელვადიანი აქტივები		752,925	625,881
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	1,968,413	4,830,964
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	5,087,142	6,958,522
წინასწარ დაფარული ხარჯები		149,136	139,145
საგადასახადო აქტივი		-	15,873
ფული და ფულის ექვივალენტები	16	1,086,203	781,752
გაცემული სესხები	17	-	282,854
სულ მიმდინარე აქტივები		8,290,894	13,009,110
სულ აქტივები		9,043,819	13,634,991
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	1	1
დამატებითი გადახდილი კაპიტალი	18	87,252	87,252
გაუნაწილებელი მოგება		3,353,979	3,318,864
სულ კაპიტალი		3,441,232	3,406,117
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	5,586,909	10,228,874
საგადასახადო ვალდებულებები		15,678	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,602,587	10,228,874
სულ ვალდებულებები		5,602,587	10,228,874
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,043,819	13,634,991

ხელმოწერილია და ჩიზადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 28 მარტს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე



მთავარი ბუღალტერი
 ლიკა კობახიძე



შპს "დინჯუარმა კავკასია"

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი გადახდილი კაპიტალი	ვალუაზილიზირებული მოგება გადაანგარიშებული	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	1	87,252	3,599,426	3,686,679
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(1,999,873)	(1,999,873)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი *	-	-	1,719,311	1,719,311
ნაშთი 31 დეკემბერი 2021 *	1	87,252	3,318,864	3,406,117
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	35,115	35,115
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	1	87,252	3,353,979	3,441,232

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 28 მარტს.

გენერალური დირექტორი
ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
ლიკა კობახიძე




შპს "დენუ ჯარმა კაპასია"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		35,115	2,033,246
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9,12,13	187,898	163,348
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან		(740,930)	(145,562)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		73,460	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) ფულადი სახსრები		(444,457)	2,051,032
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე			
მარაგების შემცირება		2,862,551	449,890
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა / (შემცირება)		928,324	(344,008)
წინასწარ დაფარული ხარჯების ზრდა		(33,825)	(9,288)
დარიცხულ გადასახადებში ზრდა / (შემცირება)		31,551	(28,646)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(2,885,228)	(253,079)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე		458,916	1,865,901
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(313,936)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		458,916	1,551,965
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	12	(357,996)	(93,667)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	13	(30,406)	(188,299)
სესხის გაცემა	17	(350,000)	(300,000)
სესხის ძირისა და პროცენტის მიღება	17	656,688	19,718
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(81,714)	(562,248)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
დივიდენდის გადახდა	18	-	(1,999,873)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		-	(1,999,873)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		377,202	(1,010,156)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16	781,752	1,807,046
კურსთა შორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(72,751)	(15,138)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	1,086,203	781,752

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 28 მარტს.

გენერალური დირექტორი
ბექა ბუქინაძე

მთავარი ბუღალტერი
ლევკა კომახიძე



